

**სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ მთლიანი აქტივები 2010 წლის იანვარ-თებერვალში 12.0%-ით გაიზარდა**

დღეს სს „საქართველოს სახალხო ბანკმა“ (შემდგომში „ბანკი“) 2010 წლის იანვარ-თებერვალში მთლიანი აქტივების 12.0%-ით 364.3 მილიონ ლარამდე (2009 წლის სექტემბერთან შედარებით 30.4%-ით გაიზარდა) გაზრდის შესახებ განაცხადა. კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები 2009 წლის დეკემბერთან შედარებით 13.2%-ით, ხოლო 2009 წლის სექტემბერთან შედარებით 47.9%-ით გაიზარდა და 2010 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით 230.2 მილიონ ლარს მიაღწია. ფიზიკური პირების მიმდინარე ანგარიშები და ვადიანი დეპოზიტები 2009 წლის დეკემბერთან შედარებით 23.7%-ით, ხოლო 2009 წლის სექტემბერთან შედარებით 19.0%-ით გაიზარდა და 2010 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით 95.8 მილიონ ლარს გაუტოლდა. კორპორატიული კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და ვადიანი დეპოზიტები 2009 წლის დეკემბერთან შედარებით 6.4%-ით, ხოლო 2009 წლის სექტემბერთან შედარებით 89.0%-ით გაიზარდა და 2010 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით 118.4 მილიონ ლარს გაუტოლდა. ბანკის მთლიანმა ვალდებულებებმა 2010 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით 330.9 მილიონი ლარი შეადგინა და 2009 წლის დეკემბერთან შედარებით 5.0%-ით, ხოლო 2009 წლის სექტემბერთან შედარებით 25.8%-ით გაიზარდა. ბანკის მთლიანმა სააქციო კაპიტალმა 2010 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით 33.4 მილიონ ლარს მიაღწია და 2009 წლის 31 დეკემბერთან შედარებით 227.5%-ით გაიზარდა.



\* ამ პრეს რელიზში მოყვანილი ყველა ციფრი არის წინასწარი არააუდიტირებული მონაცემი. ბანკის საბოლოო შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ამ პრეს რელიზში მოყვანილი ციფრებისგან.

**სს „სახალხო ბანკის“ შესახებ**

სს „სახალხო ბანკი“ (GSE: BANK) 2002 წელს დაარსდა და სიდიდით მეშვიდე ქართული ბანკია. ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4.1% შეადგინა. სს „სახალხო ბანკს“ 175 ფილიალისგან შემდგარი ყველაზე დიდი ქსელი აქვს და იგი დაახლოებით 1.2 მილიონ ფიზიკურ პირს და 26,000-ზე მეტ იურიდიულ პირს უწევს მომსახურებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ [www.peoplesbank.ge](http://www.peoplesbank.ge) ან დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს  
სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი  
ტელეფონი: +995 99 477 272  
ელ-ფოსტა: lado.gurgenidze@peoplesbank.ge

თამუნა გუნიას  
ინვესტორებთან ურთიერთობების ხელმძღვანელი  
ტელეფონი: +995 91 20 55 11  
ელ-ფოსტა: ir@peoplesbank.ge

**„ლიბერთი ინვესტიმენტის“ შესახებ**

„ლიბერთი ინვესტიმენტის“ 2009 წლის სექტემბერში დაარსებული საინვესტიციო კომპანიაა. იგი ინვესტიციებს ძირითადად ახორციელებს მზარდი ბაზრების ფინანსურ სექტორში. კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან დინუ პატრიჩიუ და ლადო გურგენიძე. „ლიბერთი ინვესტიმენტი“ ინვესტიციებს ახორციელებს ისეთ მზარდ ბაზრებზე, სადაც არის ღია, ლიბერალური ეკონომიკა, საიმედო ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, სახელმწიფო მართვის მაღალი სტანდარტები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს  
გენერალური დირექტორი  
ტელეფონი: +995 99 477 272  
ელ-ფოსტა: lg@libertycapital.ge

დამირიტი კასატკინის  
დირექტორის მოადგილე  
+44 77 860 28 700  
ელ-ფოსტა: dk@libertycapital.ge